Silknet JSC Digitally signed by Silknet JSC Date: 2020.04.01 13:12:30 +04'00'

შეთანხმების აქტი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმურის საჯარო სკოლა (ს/კ 229728998), მისი დირექტორის, ნაილი ადეიშვილის სახით და მეორე მხრივ, სს „სილქნეტი“ (ს/კ 204566978), წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მალხაზ ჟორჟიკაშვილის სახით, ვაცხადებთ, რომ ვმოქმედებთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე, ფიჭური სატელეფონო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების აუცილებლობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის №225 განკარგულების, ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000115) სატენდერო დოკუმენტაციის 6.10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების (2020 წლის 25 მარტის ოქმი N6) შესაბამისად და ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება მასზედ, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 02 მარტიდან დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (CON170000115) №8 ხელშეკრულება გაგრძელდეს ამავე ტენდერით გათვალისწინებული ტარიფებისა და პირობების შესაბამისად და შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„2.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 800 (რვაასი) ლარი.“;

2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„4.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 01 მარტიდან 2020-2021 წლის კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე ან/და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისა და პორტირების პროცედურების დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.“;

3. ხელშეკრულების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ბოლო ხელმოწერის შესრულების დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 1 აგვისტომდე.“

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და წარმოადგენს მხარეთა შორის 2018 წლის 02 მარტს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (CON170000115) №8 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმურის საჯარო სკოლის დირექტორი	კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი
ნაილი ადეიშვილი	მალხაზ ჟორჟიკაშვილი
_____	_____